საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N2

2 -- ივნისი 2013 წ.

ქ. თბილისი

**შესყიდვის საგანი:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ **ქ. ხაშურში, სააკაძის ქ.N2-ში მდებარე შენობას (ყოფ. საავადმყოფო ს/კ 69.08.64.006) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის ( N1238) საშუალებით.

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:**

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:**

- გოგი ფაცაცია — მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:**

-მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე
-ამირან გოგიძე — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
-მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
-გია ნაჭყებია — განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი
-ირაკლი კოკაია — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:**

-ნოდარ ყოჩიშვილი — მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
-დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- თეიმურაზ მაღალდაძე — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- ნინო მენთეშაშვილი — საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
- მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

**დღის წესრიგი:**
**ქ. ხაშურში, სააკაძის ქ.N2-ში მდებარე შენობას (ყოფ. საავადმყოფო ს/კ 69.08.64.006) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვაზე მიმდინარე ელექტრონულ კონკურსში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შედეგების განხილვა.

**საკონკურსო კომისიამ მოისმინა:**
საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ საკონკურსო კომისიას წარუდგინა სამინისტროს მიერ 2014 წლის 13 მაისს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში ( N1238) მონაწილე კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი საკონკურსო წიდადადებები, მან აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისთვის საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2014 წლის 27 მაისს, 14:00 საათზე; ელექტრონულ კონკურსში (N1238) მონაწილეობდა და თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა სამმა კონკურსანტმა;

1. შპს ,,ბ.დ. ჯგუფი"
2. შპს ,,არქსერვისი +"
3. შპს ,,დიზაინკომპლექსი" ;

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილია დალუქული კონვერტებით, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში - საკონკურსო წინადადების დაგვიანებით წარმოდგენას ადგილი არ ჰქონია. საკონკურსო კომისიის სხდომის მიმდინარეობისას კომისიის აპარატის მიერ, საკონკურსო კომისიის წევრების თანდასწრებით განხორციელდა ზემოაღნიშნულ კონკურსებში მონაწილე კონკურსანტების მიერ გამოგზავნილი დალუქული კონვერტების გახსნა და მასში არსებული საკონკურსო დოკუმენტაცია განხილვისათვის გადაეცა საკონკურსო კომისიის წევრებს.

**საკონკურსო კომისიამ განიხილა:**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ გ. ფაცაციამ მიმართა დამსწრეებს და განუმარტა, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა კონკურსში მონაწილის ვინაობა, საკონკურსო კომისიის წევრები და საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები ვალდებულნი არიან წერილობით დაადასტურონ, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.
საკონკურსო კომისიის წევრები ხელმოწერებით დაეთანხმნენ ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ხელწერილის მოთხოვნას.

საკონკურსო კომისის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტებით გამოგზავნილი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაასახელეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების ფასი.

1. შპს „ზ.დ. ჯგუფი" - 9 450 (ცხრა ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარი;
2. შპს „არქსერვისი +"- 12 900 (თორმეტი ათას ცხრაასი ლარი)
3. შპს „დიზაინკომპლექსი" - 15 900 (თხუთმეტი ათას ცხრაასი) ლარი;

**აზრი გამოთქვეს:**
საკონკურსო კომისიის თავჯდომარემ აღნიშნა რომ, ვინაიდან საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება 10-ქულიანი სისტემით, სადაც დადგენილია შემდეგი კრიტერიუმები:
- **სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფცია: კოეფიციენტი – 0,4;**
- **საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,6.**

ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად, საკონკურსო წინადადების ეს ნაწილი შესწავლის მიზნით გადაეცეს სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციით უზრუნველყოფის სამმართველოს, რომელიც შეისწავლის და მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგენს თავის მოსაზრებას კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფციების შესახებ.

კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულს.

**საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:**

1. კონკურსში მონაწილე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება მოხდეს საკონკურსო კომისიის მომდევნო სხდომაზე.
2. სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციით უზრუნველყოფის სამმართველომ მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფციის შესახებ.

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:** გოგი ფაცაცია

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:**

მერაბ მენაბდე

ასიიან გოგიძე

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

მურად აბლოთია

გია ნაჭყებია

ირაკლი კოკაია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

ნოდარ ყოჩიშვილი

დავით ლოლაძე

თეიმურაზ მაღალდაძე

ნინო მენთეშაშვილი

მაიკო მიქაია

# ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 2 ივნისი 2014 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, ქვემოაღნიშნული პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2014 წლის 13 მაისს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში (N1238) ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვის ობიექტი:
ქ. ხაშურში, სააკაძის ქ.N2-ში მდებარე შენობას (ყოფ. საავადმყოფო ს/კ 69.08.64.006) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N1238) საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

ამირან გოგიძე

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

მურად აბლოთია

გია ნაჭყებია

ირაკლი კოკაია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

ნოდარ ყოჩიშვილი

დავით ლოლაძე

თეიმურაზ მაღალდაძე

ნინო მენთეშაშვილი

მაიკო მიქაია